სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები
(პროგრამა "სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს")

სტიპენდია ითვალისწინებს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა დაფინანსებას წინა სემესტრის[1] განმავლობაში მიღებული ქულებისა და ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამების შესაბამისი აქტივობების გათვალისწინებით.

კონკურსის პირობები:

- პირველი და დამატებითი სემესტრის სტუდენტები კონკურსში არ მონაწილეობენ.
- დაფინანსება გაიცემა იმ სტუდენტებზეც, რომლებიც წინა კალენდარული სემესტრის განმავლობაში იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ, უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლებლად ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს მუნდუსის პროექტების, საერთაშორისო საგანმანთლებლო პროგრამებისა და თსუ-სა და უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს (პარტნიორ უნივერსიტეტებს) შორის გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების საფუძველზე.
- თანაბარი ქულების შემთხვევაში, გადამწყვეტია ჯამური GPA (საჭიროების შემთხვევაში, დამატებით - წინა სემესტრის GPA).

კონკურსანტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით:

1. **აკადემიური მოსწრება** - არაუმეტეს 80 ქულისა. გამოითვლება წინა სემესტრში პროგრამით გათვალისწინებულ საგნებში (არანაკლებ 30 კრედიტი) მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით. სტიპენდიის გამანაწილებელი კომისია იხელმძღვანელებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემაში განთავსებული სტუდენტის სასწავლო ბარათით.

2. **სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება** - არაუმეტეს 10 ქულისა. წინა სემესტრში გამოქვეყნებული სტატიები/პუბლიკაციები.
   - ქულა ენიჭება მხოლოდ ფაკულტეტის საბაკალავრო/ინტეგრირებული პროგრამების შესაბამის თემატიკასთან დაკავშირებულ პუბლიკაციებს. ასევე, ჩაითვლება მომიჯნავე დარგების (მედიცინა, პოლიტოლოგია, სოციოლოგია და სოციალური მუშაობა) თემატიკასთან დაკავშირებული პუბლიკაციები.
   - ბლოგებზე ან არარეცენზირებად ვებგვერდებზე განთავსებული პუბლიკაცია არ განიხილება კომისიის მიერ.

[1] წინა სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის დაწყებიდან მომდევნო სემესტრის ადმინისტრაციულ რეგისტრაციის დაწყებამდე პერიოდი.

	მისანიჭებელი ქულა	პუბლიკაციები
1.	2 ქულა	ქართულ და/ან უცხოურ ბეჭდურ ან ელექტრონულ გამოცემებში გამოქვეყნებული რეცენზირებადი სამეცნიერო ნაშრომები, სტატიები, რომელიც ინდექსირებული google scholar-ში.
2.	3 ქულა	უნივერსიტეტების/ფაკულტეტების მიერ გამოცემული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი (მაგ. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი).
3.	4 ქულა	ქართულ და/ან უცხოურ ბეჭდურ ან ელექტრონულ გამოცემებში გამოქვეყნებული რეცენზირებადი სამეცნიერო ნაშრომები, სტატიები რომლებსაც აქვს ISSN ან ISBN კოდი და ჰყავს აკადემიური/სამეცნიერო სარედაქციო კოლეგია.
4.	5 ქულა	ქართულ და/ან უცხოურ ბეჭდურ ან ელექტრონულ გამოცემებში გამოქვეყნებული რეცენზირებადი სამეცნიერო ნაშრომები, სტატიები რომლებსაც ინდექსირებულია სამეცნიერო ბაზებში (SCOPUS, WOS, ERIH+)

3. **სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა** – არაუმეტეს 10 ქულისა. წინა სემესტრში ჩატარებული კონფერენციები.
   - სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი და/ან კონფერენციის პროგრამა, რომელშიც მითითებული იქნება მოხსენების სათაური, ავტორ(ებ)ი; კონფერენციის ჩატარების თარიღი, ადგილი.
   - ქულა ენიჭება მხოლოდ საბაკალავრო/ინტეგრირებული პროგრამების შესაბამის თემატიკასთან დაკავშირებულ მოხსენებას. ასევე, ჩაითვლება მომიჯნავე დარგების (მედიცინა, პოლიტოლოგია, სოციოლოგია და სოციალური მუშაობა) თემატიკასთან დაკავშირებულ კონფერენციაში მონაწილეობა.

	მისანიჭებელი ქულა	კონფერენციები
1.	1 ქულა	ადგილობრივ სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობა (საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო, დეპარტამენტის, ინსტიტუტის)
2.	2 ქულა	ადგილობრივ სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციაში გამარჯვება/საპრიზო ადგილი (საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო, დეპარტამენტის, ინსტიტუტის)
3.	3 ქულა	საერთაშორისო სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობა
4.	4 ქულა	ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში, მათ შორის, უნივერსიტეტის ფარგლებში გამართულ კონფერენციაში მონაწილეობა
5.	5 ქულა	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა

შენიშვნა:

- წარმოდგენილი დოკუმენტი (ნაშრომი, სტატია) არ მიიღება იმ შემთხვევაში: თუ ვერ დგინდება გამოქვეყნების/გამოცემის თარიღი, თემა/სათაური, გამომცემლობის/ორგანიზატორის დასახელება,
- შედეგების აპელაციისთვის სტუდენტს განცხადება შემოაქვს ფაკულტეტის კანცელარიაში.

დამტკიცებულია ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 5 აპრილის სხდომაზე (ოქმი №3).